ნიკოლოზ თექთურმანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
ntekt18@freeuni.edu.ge

# არაბული აზროვნების ტრანსფორმაცია XIX-XX საუკუნეებში

**რეზიუმე**

სიტყვათაშეთანხმება „არაბული სამყაროს“ გაგონებისთანავე ადამიანს ყურანი, ისლამი, შედარებით იზოლირებული საზოგადოება, მათი ტრადიციები, ტერორიზმი, მწვავე დაპირისპირებები და რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ახსენდება. ახლო აღმოსავლეთი დღეს უარყოფით ასპექტში განიხილება და ადამიანს შიშსაც კი ჰგვრის. მიუხედავად ამისა, ბევრმა არ იცის მათი კულტურა, ტრადიციები, პოლიტიკა და ეკონომიკა. თავიანთ დამოკიდებულებას ისინი მხოლოდ გავრცელებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით ავითარებენ. სწორედ ამ მიზეზით, საინტერესოა არაბების დამოკიდებულებების ცვლილების მეტად ხანგრძლივი და დატვირთული ისტორია.

წინამდებარე სტატია ყურადღებას რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებს, რომელთა შორისაც დიდი ადგილი ნაციონალისტურ პრინციპებზე დაფუძნებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ეხება. პანარაბიზმი, რომელიც განსაკუთრებით XIX საუკუნეში გაძლიერდა, დღემდე სრულიად არაბული სამყაროს თანმდევ მახასიათებლად იქცა. არაბთა ისტორიას რომ გადავხედოთ, მათი დამოკიდებულება სამშობლოსა და ეროვნული ღირებულებების მიმართ ცხადად გამოჩნდება. მას შემდეგ, რაც მოციქულმა მუჰამადმა ყურანი მთავარ სახელმძღვანელოდ მოავლინა, მოსახლეობას მისი დაცვის სურვილი ავტომატურად გაუჩნდა, რადგან წმინდა წიგნში წესები, ტრადიციები და ღირსეული ცხოვრების გზაზე შესასრულებელი ვალდებულებები იყო მოცემული. თავად მოციქულის გადმოცემები, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ჩანაწერები, სურები და აიები, კარგი გეოგრაფიული მდებარეობა და გამოწვევები, რომლებიც ისტორიულად ჰქონდათ - ყველაფერი არაბების ერთ მთლიანობად ჩამოყალიბების მიზეზებად იქცა. ამდენად, მდიდარი კულტურული და ისტორიული ფონი თითოეულ მათგანში ნაციონალისტური სულისკვეთების ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. ეს ყოველივე განსაკუთრებით ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ ყოფნის დროს გაძლიერდა, რადგან, არაბთა აზრით, ღვთის მიერ გამორჩეულ ხალხს სხვა ბატონი ვერ ეყოლებოდა.

ამავე დროს, სწორედ XIX საუკუნეშივე აქტიურდება დასავლეთი, რომელშიც მასშტაბურმა მოვლენებმა მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებზე დიდი გავლენა მოახდინეს. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ახლო აღმოსავლეთი იყო. არაბული სამყაროს შემთხვევაში, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში არაბულ და ევროპულ აზროვნებას შორის დაპირისპირებამ გარკვეულ ჩიხში შესვლა და სხვადასხვა პრობლემური საკითხის გამწვავება გამოიწვია. ამ მხრივ, აკულტურაციის თეორიაა[1] საინტერესო, რომელიც კულტურათა ურთიერთგავლენის პროცესებს აღნიშნავს. ის თითქოს გლობალიზაციის მხარდამხარ ვითარდება და ვრცელდება. ასე რომ, არაბთა ისტორიულ წინააღმდეგობას დასავლეთის მიმართ ზუსტად შეესაბამება.

[1] კულტურათა ურთიერთქმედების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც როგორც პროცესის, ასევე მისი შედეგების აღსანიშნავად გამოიყენება (Institute of Cultural Studies 2016).

**საკვანძო სიტყვები:** არაბული სამყარო, ყურანი, ნაციონალიზმი, დასავლეთი, აკულტურაციის თეორია.

XIX საუკუნის დასაწყისში არაბული ნაციონალიზმის ისტორიულ ფესვებს აკულტურაციის თეორია კარგად ხსნის. ცხადია, არაბული ნაციონალიზმი და ნაციონალისტური მოძრაობები, ძირითადად, ევროპის გავლენით განვითარდა, თუმცა ასეთი მიდგომა, თავისთავად, ფენომენს რეალურად ვერ ხსნის. უოლტერ ბრაუნი მართებულად ამბობს, რომ არაბული ნაციონალიზმი ევროპული გავლენით წარმოიშვა და თარიღი ბასრასკენ მიდის. თუმცა, უცხო ძალის ზემოქმედებას მხოლოდ მაშინ შეუძლია იმოქმედოს, როდესაც მისი მიღებისა და მის საფუძველზე ტრანსფორმაციის პირობები არსებობს (Tibi 1997, 75-76).

რაც უფრო სუსტებოდა ოსმალეთის იმპერია, მით უფრო ძლიერად განიცდიდა სხვა სახელმწიფოების ზეწოლას, იმპერიის ადმინისტრაციას შესაბამისი რეფორმები გაეტარებინა (Kurun 2017, 12-13). რეფორმების მთელი სერია, რომელიც „Tanzimat-i Hayriye"[2]-ისა და „Islahat"[3]-ის სახელწოდებებით აქტიურად ხორციელდებოდა, მე-19 საუკუნეში დიდი ნახტომი იყო (Robby 2020, 3; Kurun 2017, 13). ცვლილებებმა სხვადასხვა ასპექტის მრავალი დასავლური ელემენტი და ღირებულება, განსაკუთრებით, ნაციონალური სახელმწიფოს, სამოქალაქო თავისუფლების, ლაიციზმისა და დემოკრატიის იდეები შემოიტანა, რაც პირველად მე-18 საუკუნის ბოლოს საფრანგეთის რევოლუციის დროს „ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაციაში" გაჟღერდა. დასავლური ღირებულებები ოსმალეთის სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში დასავლელმა ბიუროკრატებმა, მრეწველებმა და ქრისტიანმა მისიონერებმა შემოიტანეს (Robby 2020, 3). სწორედ მათ ოსმალეთის იმპერიის რეგიონებში, განსაკუთრებით კი ანატოლიის, ლევანტისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში, დააარსეს სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, გამოსცეს ჟურნალ-გაზეთები, ეწეოდნენ მთარგმნელობით საქმიანობას. მისიონერებმა დიდი როლი ქალის განათლებას მიანიჭეს. ამ მიზნით მათ ქალთა რამდენიმე სკოლა გახსნეს. ოსმალეთის იმპერიაში ასეთი სასწავლებელი პირველად 1830 წელს ბეირუთში გაიხსნა (ქუთელია 2009, 17). საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობა არაბული და თურქული წარმოშობის სტუდენტებში დასავლური ფილოსოფიისა და პოლიტიკური ღირებულებების პოპულარიზაციისათვის წარმატებული აღმოჩნდა. მათ კურსდამთავრებულებზე ახლო აღმოსავლეთის ისტორიამ დასავლური გავლენებით, მსოფლმხედველობითა და პოლიტიკური პერსპექტივებით გავლენა მალევე მოახდინა. საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა, დასავლურმა ღირებულებებმა ოსმალეთის იმპერიის ბიუროკრატიულ ინსტიტუტებშიც შეაღწია (Robby 2020, 3-4).

XIX საუკუნის II ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი არაბული ქვეყნების ისტორიაში „ნაჰდას" ანუ აღორძინების სახელითაა ცნობილი. ეს იყო მთელი კულტურული ცხოვრების გამოცოცხლების, ახალი არაბული ლიტერატურის ჩამოყალიბების, საგანმანათლებლო მოძრაობისა და მუსლიმური რეფორმაციის, ანტიფეოდალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეის გამომუშავებისა და მისთვის თეორიის საფუძვლის მომზადების პერიოდი.

არაბული განმანათლებლობა რელიგიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. მათ თავიანთი იდეების გავრცელების საშუალებად რეფორმირებული სახით წარმოდგენილი ისლამი მიაჩნდათ. გარეგნულად რეფორმისტები ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, სინამდვილეში კი ბურჟუაზიულ იდეოლოგიას გამოხატავდნენ, მუსლიმურ ნიადაგზე ევროპულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იდეებს ნერგავდნენ და ცდილობდნენ, ისლამის დახმარებით ახალი სამეცნიერო მიღწევები აეხსნათ. ამიტომ იყო, რომ განმანათლე-

[2] თანზიმათ-ი-ჰაირიე - ქართ. სასარგებლო რეფორმები, სასიამოვნო რეორგანიზაცია; 1839-1876 წლებში სამთავრობო რეფორმების სერია, რომელიც ოსმალეთის მმართველობის ცენტრალიზაციას, რაციონალიზაციასა და იმპერიის თავდაცვისათვის მეტი შემოსავლის მიღებას გულისხმობდა.

[3] ისლაჰათ - ქართ. ცვლილებები, რეფორმები

ბელი ალ-ქავაქიბი[4] პროგრესის გზას მხოლოდ „უცხო დანაშრევებისგან“ განწმენდილ ისლამში ხედავდა (ქუთელია 2009, 16-18-20).

ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ პირველ და ყველაზე გავლენიან ინტელექტუალს შორის, რომელიც არაბული ნაციონალიზმის კონცეფციის ავტორად ითვლება, არის რიფა'ა ალ-ტაჰტავი[5] ეგვიპტიდან, რომელმაც „ვატანიას“ კონცეფცია განავითარა. მისთვის „ვატანია“ არის ისლამურ-არაბული ღირებულებების ნაციონალიზმის დისკურსში შეტანის პირველი მცდელობა.

მოგვიანებით, ნაციონალიზმი ან „ვატანიას“ დისკურსი მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ კი, ლევანტის რეგიონში, რამდენიმე ქრისტიანულ-არაბულ მოძრაობაში გაიზარდა, რაც არაბული ერის აღზევებას დაეხმარებოდა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში განმანათლებლების გვერდით მუსლიმური რეფორმაცია სწორედ ასე წარმოიშვა. მისი მიმდევრები, ძირითადად, ეგვიპტელები იყვნენ, მათ შორის, ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი და მუჰამმად აბდუ. მოდერნიზმი, რომელიც გაიშალა ლოზუნგით, ისლამს საწყისი სიწმინდე დავუბრუნოთ, სინამდვილეში მიზნად რელიგიის განახლებას, დოგმატებისგან მის გათავისუფლებას, რაციონალური აზროვნების მოთხოვნებთან მის შეთავსებასა და დღის პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ამოცანებთან დაკავშირებას ისახავდა (ქუთელია 2009, 21).

არაბულ სამყაროში დრო სივრცით განისაზღვრება, სივრცე კი - დროით. ორი მეტად მნიშვნელოვანი ელემენტი ერთმანეთზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, აღნიშნული მოცემულობა XIX საუკუნეში არაბული ნაციონალიზმის გაძლიერების საწყისებს კარგად ხსნის. ის, რომ არაბებისათვის დროსა და გარემოს მნიშვნელობა არ აქვს, ნათლად მათ ისტორიაში გამოჩნდა. ისინი საკუთარი პრინციპებით ცხოვრებასა და ყურანის წესების დაცვას ყოველთვის მაქსიმალურად ცდილობდნენ. ამდენად, მომენტსა და ადგილს თითქოს საკუთარი საზოგადოების ინტერესებს არგებდნენ.

XX საუკუნის 20-იან წლებში, სოციალიზმმა არაბულ საზოგადოებაში ფეხი მყარად მოიკიდა. საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ კი, რომელმაც თავი ანტიიმპერიალისტურ ძალად წარმოაჩინა და მზად იყო დაჩაგრულ ხალხს დახმარებოდა, სოციალიზმი არაბული სამყაროს განუვითარებლობის დაძლევის ერთგვარი ფორმულა გახდა. იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის იდეები არაბულ სამყაროში სწრაფად გავრცელდა, რამაც აღტაცება და დასავლური ლიბერალური მოდელისკენ სწრაფვის დაქვეითება გამოიწვია (Corm 2020, 138).

მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში არაბები თავს გამორჩეულ ეთნოკულტურულ ჯგუფად თვლიდნენ. ამის საფუძველი ორი ფაქტორი იყო: არაბული ენა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნულ კულტურასა და ფსიქოლოგიაში და არაბთა საერთო წარმოშობის რწმენა (სანიკიძე, ალასანია და გელოვანი 2011, 564-565). ის, რომ ისინი, ვინც არაბულად საუბრობენ, ქმნიან „ერს“ და რომ ეს ერი დამოუკიდებელი და ერთიანი უნდა იყოს, არის რწმენა, რომელიც მხოლოდ ახლანდელ საუკუნეში გახდა არტიკულირებული და პოლიტიკური ძალა შეიძინა. მაგრამ, თუკი ისტორიას გადავხედავთ ვნახავთ, რომ არაბები ყოველთვის განსაკუთრებულად ამაყობდნენ საკუთარი ენით, რომელიც წინაისლამურ პერიოდში ამ ენაზე მოსაუბრე ტომებსა და ოჯახებს აერთიანებდა (Hourani 2013, 260).

არაბებში ნაციონალისტური განწყობილების ჩამოყალიბება პატრიოტიზმის ევროპული კონცეფციის ახლო აღმოსავლეთის პირობებთან ადაპტაციით დაიწყო (Khalidi et al. 1991, 4). პატრიოტიზმის თემა ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში თავის თხზულებებში რიფა'ა ალ-ტაჰტავიმ წამოჭრა. მან თავის ნაშრომში "مناهج الألباب المصرية في مباهج الآداب العصرية"[6] , რომელიც ეგვიპტის ისტორიასა და გეოგრაფიას ეძღვნება, პირველად გამოიყენა სიტყვა „ვატან“ სამშობ-

[4] აბდ ალ-რაჰმან ალ-ქავაქიბი (1849-1902 წწ) - არაბი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

[5] რიფა'ა ალ-ტაჰტავი (1801-1873 წწ) - ეგვიპტელი მეცნიერი

[6] „მანაჰიჯ ალ-ალბაბ ალ-მისრია ფი მაბაჰიჯ ალ-ადაბ ალ-'ასრია“ - ქართ. „ეგვიპტის სულების სასწავლო გეგმები თანამედროვე ლიტერატურის სიხარულში“

ლოს მნიშვნელობით და ფრაზა „ჰუბბ ალ-ვატან“ (არაბულად: სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი) და ეგვიპტელთა მოვალეობები თავიანთი სამშობლოს წინაშე განიხილა.

არაბული ნაციონალური იდეების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი სირიელ-ქრისტიან განმანათლებლებს მიუძღვით (სანიკიძე, ალასანია და გელოვანი 2011, 565).

წლების განმავლობაში, არაბული ნაციონალიზმის წარმოშობის ყველაზე გავრცელებული ახსნა უდავოდ ის იყო, რომ დასავლეთთან კონტაქტმა არაბული ეროვნება გააცოცხლა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ისლამის ან თურქების მიერ ითრგუნებოდა. ამ თვალსაზრისით, არაბული ნაციონალიზმის გენეზისი არაბთა გამოღვიძების ნაწილი იყო, რომლითაც არაბები დასავლური მეცნიერებისა და სეკულარიზმის თანამედროვე სამყაროში გადავიდნენ (Khalidi et al. 1991, 3-4, 9-10).

ხელისუფლებაში „ახალგაზრდა თურქების“ მოსვლამ სიტუაცია სერიოზულად შეცვალა. მათ მიერ აღებული კურსი თურქიზაციაზე არაბთა უფლებებს ლახავდა  და მათ განსაზღვრულ ნაწილს უბიძგებდა, თურქების თანაბარი უფლებების მოსაპოვებლად ებრძოლათ. „ახალგაზრდა თურქების“ ნაციონალისტურმა პოლიტიკამ არაბული ელიტის გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია და საპასუხო თეზისი გაჩნდა: რადგანაც თურქები განსაკუთრებულ ნაციონალურ ერთობას შეადგენდნენ, მაშინ არაბებიც ასეთები არიან (სანიკიძე, ალასანია და გელოვანი 2011, 567). არაბმა ნაციონალისტებმა კონკრეტული ბრალდებებით „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობას შეუტიეს. ერთი ბრალდება იყო ის, რომ „ახალგაზრდა თურქები“ მხარს სიონისტებს უჭერდნენ, მეორე ბრალდება კი მათ მიერ წამოწყებული თურქიზაციის პოლიტიკას ეხებოდა (Khalidi et al. 1991, 14, 16, 17, 21).

ამდენად, ოსმალეთის იმპერიაში დაწყებულმა „მცირე არაბულმა ამბოხმა“ შედეგი გამოიღო - ხალხმა დამოუკიდებლობა, ეროვნულმა ღირებულებებმა კი დაცულობა მოიპოვა. ახალმა ნაციონალისტურმა იდეოლოგიამ შეძლო და მთელი არაბული სამყარო გააერთიანა. ერთიანი ინტერესების მქონე საზოგადოება კი, ძლიერი ლიდერების მეთაურობით, უცხო ძალებსა და მათ გავლენებს მწვავედ დაუპირისპირდა. მოსახლეობისათვის მონარქიის შემდეგ ახალი იდეების მქონე ოფიცრები, მათ შორის, გამალ აბდელ ან-ნასირი, ანვარ ას-სადათი, მუამარ კადაფი და სხვ. მნიშვნელოვანი მონაპოვარი იყო. ამიტომ ამ უკანასკნელთა თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც ნაციონალისტურ პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული, უცხო ძალის პარპაშს ქვეყნებში აღმოფხვრიდა და არაბთა გამორჩეულობას ხაზს გაუსვამდა, მისასალმებელი იყო.

ნაციონალისტური პოლიტიკისათვის უდიდესი დარტყმა, მაგრამ, ამასთანავე, დიდი გამოწვევა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა იყო, რომელმაც თითქმის ყველა არაბული ქვეყნის საგარეო პოლიტიკა შეცვალა და ყურადღება აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე გადმოატანინა. ზუსტად იცოდნენ, რომ ებრაელთა აღმავლობა ყველა მეზობელი სახელმწიფოს მომავლისათვის დიდი საფრთხე იქნებოდა, რადგან მათ ეკონომიკურ, ინდუსტრიულსა და სავაჭრო წარმატებებს შეზღუდავდა და დიდ გავლენას სიმდიდრესა და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე მოახდენდა (Dawisha 2016, 79). აღნიშნული მოვლენა ძლიერი ეროვნული იდეიის მქონე ლიდერებისათვის ბრძოლის ველი აღმოჩნდა, რომელთა შორის აღსანიშნავია, 1967 წლის 6 დღიანი და 1973 წლის იომ-ქიფურის ომები. ფიქრობდნენ, რომ მსოფლიო ომების ეპოქაში რამდენიმე დღიანი კონფლიქტი გასაკვირი არ იყო და ის აუცილებლობით იყო გამოწვეული. ზოგი დამარცხდა, ზოგმაც წამოდგომა შეძლო, თუმცა პროგრესულად მოაზროვნე ერის წინაშე ვერაფერს გახდა. სწორედ ნაციონალიზმის, შესაძლოა ითქვას, შედარებით სხვაგვარმა გააზრებამ ყველა იმ ეტაპის არსებობა განაპირობა, რომლებიც დღეს არაბული სამყაროს ისტორიაში მწვავე მოვლენებად აღიქმება. სწორედ პანარაბიზმის განსხვავებული გაგება თანამედროვე რადიკალური მოძრაობების შექმნის საფუძველი გახდა.

სანამ ევროპაში რომის გავლენა ნელ-ნელა სუსტებოდა და რეგიონი თავისუფლების სახიფათო, მაგრამ აუცილებელ გზას ადგა, არაბული სამყარო თითქმის ყველა გარე გავლენისაგან იყო იზოლირებული. იზოლაციის პროცესი განუწყვეტლივ გრძელებოდა მანამ, სანამ ის მოულოდნელად ნაპოლეონმა 1798 წლის ექსპედიციით არ დაასრულა. ეს მართლაც პირვე-

ლი დიდი გარეგანი სტიმული იყო, რომელიც მთელმა არაბულმა და მუსლიმურმა სამყარომ მიიღო რეგიონის ოსმალეთის იმპერიის დაპყრობის შემდეგ.

უცხო ძალის შემოჭრა მტკივნეულია, თუმცა ეს „შენიღბული კურთხევა“ იყო, რადგან მან არაბები გამოაღვიძა. ხალხის დამორჩილებამ, სიმდიდრის გამოყენებამა და საფრთხის გაჩენამ მუსლიმებს აგრძნობინა, რომ თავიანთი მიწები დასავლური იმპერიალიზმის შემოსევებისაგან და რწმენა ქრისტიანი მისიონერების აგრესიისგან დაცვას საჭიროებდა.

არაბული გამოღვიძების უპირველეს ლიდერად ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი[7] მიიჩნევა, რომელიც სრულიად მუსლიმური სამყაროსათვის დიდი მოაზროვნე, რელიგიური რეფორმატორი და პოლიტიკური ლიდერი იყო. მუჰამმად აბდუ მას ახასიათებს, როგორც გულისა და ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანს, რომლის ქმედებებიც უდიდეს გამბედაობასა და კეთილშობილებას მოითხოვს. „ეს გენიალური ველური კაცი“ როგორც მას ბრიტანელი ხელოვნებათმცოდნე ბლანტი უწოდებდა, ფულსა და პატივმოყვარეობაზე ყოველთვის უარს ამბობდა, რათა თავისუფლება შეენარჩუნებინა და უკეთ ემსახურა (Amin 2015, 39-41).

ალ-აფღანის გარდა, მუჰამმად აბდუ, რაშიდ რიდა, ჰასან ალ-ბანნა და საიდ კუტბი არაბული ნაციონალისტური აზროვნების წარმატებულ მაგალითებს წარმოადგენენ. რადგანაც ალ-აფღანი თითქოს ღირებულებათა გადაფასების პიონერად იქცა, მის შემდეგ ქრონოლოგიურად, თითოეულმა მოაზროვნემ თავიანთი წვლილი არაბულ „განმანათლებლობაში“ შეიტანა. ერთმანეთის მოწაფე-მასწავლებლები წინამორბედების ნააზრევს, რასაკვირველია, იზიარებდნენ, თუმცა ახალს ყოველთვის მატებდნენ. XIX საუკუნეში ჰასან ალ-ბანნასა და საიდ კუტბის შეხედულებები დასავლეთზე, ნაციონალიზმსა და ისლამზე თითქოს ერთმანეთს ემთხვევა (Abu-Rabiʿ 2004, 198). ალ-ბანნას კონცეფციების ისლამისეული გაგება ინოვაციურია. ის ისლამს არ წარმოადგენს, როგორც რელიგიას ან სისტემას, არამედ როგორც იდეოლოგიური მისიის გრძნობით სავსე უნივერსალურ რწმენას. მისი აზრით, ისლამი არა მხოლოდ რეფორმების მიზეზი, არამედ რადიკალური ცვლილებების მყარი საფუძველია (Abu-Rabiʿ 1996, 82). მათ მიერ შექმნილ იდეოლოგიაზე დღეს ისლამისტური პოლიტიკური და სოციალური მოძრაობები შეიქმნა, რომლებიც მსოფლიოში ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციების რიცხვს ეკუთვნის. აღნიშნულმა მოაზროვნეებმა თავიანთი სახელები მივიწყებული, განზრახ მიჩქმალული და ახალი იდეების წინ წამოწევით გაითქვეს.

მოაზროვნეები ამტკიცებდნენ, რომ უცხო კულტურის შემოჭრა ადგილობრივის დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა და განვითარების საფუძვლად კვლავ ყურანს ასახელებდნენ, თუმცა რამდენიმე საკითხში მაინც დასავლურ ხედვას ეთანხმებოდნენ და რეგიონში ახალი პრაქტიკების დანერგვას მიესალმებოდნენ. ფიქრობდნენ, რომ უცხო კულტურის მცირე დეტალი სახელმწიფოების ინტერესებზე დიდ გავლენას არ მოახდენდა, მაგრამ რაც მეტი დრო გადიოდა, მით მეტი ინოვაციის შესახებ ახალი ინფორმაცია ჩნდებოდა. ამრიგად, ჯაჭვური რეაქციით, თითქმის ყველა არაბული სახელმწიფოს მოსახლეობამ გემო ნელ-ნელა მათთვის სრულიად ახალ ხილს გაუგო და მოეწონა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გლობალიზაციის შესახებ არაფერი იცოდნენ. არ იცოდნენ, რომ ეს შეუჩერებელი ფენომენი და კულტურათა დაახლოების საშუალება იყო. მაშასადამე, არაბების ნებისმიერი ქმედება, რომელიც ნაციონალისტურ პრინციპებზე იყო დაფუძნებული, სიახლეს წინ ვერ აღუდგებოდა.

არაბთა საზოგადოებებზე ყველა უარყოფითი გავლენა სწორედ დასავლეთს მიაწერეს; უარყოფდნენ იმ კონცეფციებს, რომლებიც ევროპასთან დაახლოებას გულისხმობდა; მდგომარეობის გამოსწორების საშუალებად ყურანი გამოიყენეს. ფიქრობდნენ, რომ ნებისმიერი მცირე შეცდომაც კი ალაჰის გზიდან გადახვევას ნიშნავდა. დანარჩენ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები თითქოს არაბთა აზროვნების ტრანსფორმირების საფუძველი უნდა გამხდარიყო, მაგრამ საზოგადოება იმდენად ჩაკეტილი იყო, რომ ინოვაციებს მათ საზღვრებში შეჭრა

[7] ალ-აფღანი (1838-1897) - პოლიტიკური აქტივისტი და იდეოლოგი. გავრცელებული ვერსიით, წარმოშობით ავღანეთიდანაა.

უჭირდა. რასაკვირველია, ოპოზიცია არსებობდა და ბევრს შრომობდა, რათა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური წნეხი საზღვრების გახსნითა და ურთიერთთანამშრომლობით მოეგვარებინათ, მაგრამ ნაციონალიზმი იმდენად ძლიერად განვითარდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას, განსაკუთრებით XX საუკუნის შუა ხანებში, აზრი არ ჰქონდა. მართალია, არაბები ყურანის მითითებებსა და, აქედან გამომდინარე, მათ მდიდარ კულტურას მკაცრად იცავენ, ახალგაზრდა თაობა მაინც დასავლეთისაკენ ილტვის, რადგან ეს რეგიონი მეტ შესაძლებლობას იძლევა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ყველა ხვდებოდა, რომ რეფორმები აუცილებელი იყო, რადგან იზოლირებული და განუვითარებელი სახელმწიფოების მომავალი საფრთხის წინაშე იდგა.

თანამედროვეობამ, მოდერნიზაციამ და გლობალიზაციამ არაბულ სამყაროზე თავისი დადებითი და უარყოფითი გავლენა მოახდინა. არაბი მოაზროვნეები მთლიანობაში თავიანთი საზოგადოებების პროგრესის ერთგულნი არიან. უმეტესობა თანხმდება, რომ არაბულ სამყაროში დიდი ხანია კრიზისია. ზოგიერთი ახალი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაზე მუშაობს; სხვები ფიქრობენ, რომ განვითარების ეკონომიკური გზა ერთადერთი გამოსავალია. ბევრი თანხმდება, რომ არაბული პოლიტიკური ელიტა გამწვავებული პრობლემების წინაშე დგას და რომ გლობალიზაციის მსვლელობამ არაბულ სამყაროში ავტორიტარიზმის სტრუქტურები მხოლოდ გააძლიერა. "რა უნდა გაკეთდეს?" კითხვა ყოველდღე ისმება (Abu-Rabiʿ 2004, 198-199).

XX ს.-ის 70-იან წლებში, როდესაც ნაციონალიზმმა დაკარგა თავისი პოპულარობა, წინა პლანზე მუსლიმი ფუნდამენტალისტები წამოვიდნენ. ისლამური ფუნდამენტალიზმი რთული ფენომენია, რომლის გათანაბრება არც ტერორიზმთან, არც ფანატიზმთან და არც რელიგიურ ექსტრემიზმთან არ შეიძლება. ის პირვანდელი, მუჰამადისა და ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას დროინდელი ისლამისკენ დაბრუნების იდეას ემყარება. ამ პერიოდის მუსლიმური თემის იდეალიზაციიდან გამომდინარე, დანარჩენი ისტორია, როგორც საზოგადოების ჭეშმარიტი ღვთაებრივი გზიდან გადახვევა, უარყოფილია (სანიკიძე, ალასანია და გელოვანი 2011, 585-588).

**გამოყენებული ლიტერატურა:**


სანიკიძე, გიორგი, გიული ალასანია, ნანი გელოვანი. 2011. *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. - XXI ს-ის დასაწყისი).* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქუთელია, მურმან. 2009. *არაბული რომანტიზმი.* თბილისი: მწიგნობარი.

Abu-Rabiʿ, M. Ibrahim. 1996. *Intellectual Origins of Islamic Resurgence in the Modern Arab World.* Albany, NY: State University of New York Press.

Abu-Rabiʿ, M. Ibrahim. 2004. *Contemporary Arab Thought: Studies in Post-1967 Arab Intellectual History.* London and Sterling, Virginia: Pluto Press.

Amin, Osman. 2015. “Chapter 74: Jamal al-Din al-Afghani.” In *A History of Muslim Philosophy, Vol. 2, Book Eight: Modern Renaissance (Covering both the Early and Later Centuries),* edited by M. M. Sharif, 39-46. Lahore: Pakistan Philosophical Congress. https://www.al-islam.org/printpdf/book/export/html/39604.

Corm, Georges. 2020. *Arab Political Thought: Past and Present.* London: Hurst & Company, London.

Dawisha, Adeed. 2016. *Arab Nationalism in the Twentieth Century: From Triumph to Despair.* Princeton, New Jersey: Princeton University Press.

Hourani, Albert. 2013. *Arabic Thought in the Liberal Age (1798-1939).* Cambridge: Cambridge University Press.

*Institute of Cultural Studies.* February 27, 2016. http://www.culturedialogue.com/resources/library/terms/akulturacia.shtml

Khalidi, Rashid, Lisa Anderson, Muhammad Muslih, Reeva S. Simon, and C. Ernest Dawn, eds. 1991. *The Origins of Arab Nationalism.* New York: Columbia University Press.

Kurun, Ismail. 2017. "Arab Nationalism from a Historical Perspective: A Gradual Demise?" *Yalova Sosyal Bilimler Dergisi,* 8. 13: 11-24.

Robby, Hadza Min Fadhli. 2020. "Arab Nationalism: Past, Present, and Future." ResearchGate. https://www.researchgate.net/publication/340977645_Arab_Nationalism_Past_Present_Future

Tibi, Bassam. 1997. *Arab Nationalism: Between Islam and the Nation-State.* New York: Palgrave Macmillan.